საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

>საჭირო

>საჭირო

> ოთახი

რეფერატი სოციოლოგიაში

პროფესორი ვ. ვარდოსანიძე

სტუდენტი დ. დარჯანია

6900-ე ჯგუფი

თბილისი 2012

>აპოფატოფობია

როდესაც მარსელ დიუშანს ჰკითხეს: „რა განსხვავებაა ქანდაკებასა და არქიტექტურას შორის?“ მან უპასუხა: „სანტექნიკა!“

ფენომენალურია: ქართველებმა უთქმელად გადავწყვიტეთ, რომ ტუალეტი ზედმეტად „ბინძური“ თემაა განსახილვლად. შედეგად ყველა ჩვენი ტაბუ და აკრძალული ფანტაზია აღმოჩნდა ერთ ძალიან საჭირო ოთახში - ტუალეტში, ჩვენ მიერ როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად უგულებელყოფილ სივრცეში.

„საზოგადოებრივი ტუალეტები, რამდენად ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ის ადგილებია, რომელიც მასიური მოთხოვნით სარგებლობს და ასოცირდება ცივილიზაციასთან, ჰიგიენასა და გენდერულ სხვაობასთან. საჯარო ტუალეტები იმ ადგილების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც გენდერული გამიჯვნა ღიად იჩენს თავს თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში. ქალისა და მამაკაცის ფიზიკური სხვაობა სივრცის დიზაინის მთავარ ელემენტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მათი შექმნა დაკავშირებულია სხეულის, სექსუალობის, პირადი ცხოვრებისა და ტექნოლოგიების ერთ მთლიანობაში წარმოდგენასა და საჯარო სივრცეში მის ასახვასთან.“(ოლგა გერშენსონ, ბარბარა პენერ 2009)

საზოგადოებრივი ტუალეტების რაოდენობა და მდგომარეობა „სურნელოვან“ თბილისში ნამდვილად იმსახურებს სიტყვა „ბინძურს“, რაც ქალაქში მათ საგულდაგულო ძიებაში დადასტურდა.

>ნაპოვნია ტუალეტი!

1. მ.ს. „ვარკეთილთან“ - მუნიციპალური. სტაციონალური (შეერთებულია საკანალიზაციო სისტემაზე). აქვს 2 განყოფილება (ქ;კ), სარკე, ხელსაბანი, ტუალეტის ქაღალდი, მყარი საპონი, რომელიც „არადამაჯერებლად“გამოიყურება. ქალთა განყოფილებას მორყეული აქვს საკეტი. განათება დღისით დღის, საღამოს მბჟუტავი ნათურა. სამუშაო საათები 08:00 – 20:00. ფასი 30.



2. მ.ს. „სამგორი“ (ქვედა) ბაზარი - კერძო. სტაციონალური. აქვს 6 განყოფილება (3 ქ; 3 კ), ხელსაბანი, სარკე, ტუალეტის ქაღალდი, მყარი საპონი. მიუხედავად იმისა, რომ წყალი მიეწოდება, დგას წყლით სავსე 3 კასრი. სამუშაო საათები 08:00 – 20:00. ფასი 20 თეთრი.

3. მ.ს. „სამგორი“ (ქვედა) ბაზარი - კერძო. სტაციონალური. მდებარეობს პროდუქტების უშუალო სიახლოვეს და მუხლების მოკვეთამდე ყარს. არის სველი, ბნელი, ჟანგიანი, ტალახნარევი, ადგილ-ადგილ ობმოდებული ტუალეტი. მიკრობების კერა. სამუშაო საათები 08:00 – 20:00. ფასი 20 თ.

4. მ.ს „ისანთან“ - აგრეთვე მუნიციპალური. სტაციონალური. აქვს 2 განყოფილება (ქ;კ), სარკე, ხელსაბანი (ონკანები გაფუჭებულია და წყალი ხანდახან ნაკადულად მიუყვება ტროტუარს მეტრომდე), ტუალეტის ქაღალდი, მყარი საპონი და სხვა ტუალეტის ქაღალდი, რომელიც ხელსახოცის მაგივრობას სწევს. ტუალეტის მიგნება შესაძლებელია ქლორნარევი ურინის სუნზე. ფასი 30 თეთრი.

5. კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში - კერძო. სტაციონალური. აქვს 2 განყოფილება (ქ;კ), სარკე, ხელსაბანი. მუშა მდგომარეობაში არ დაფიქსირებულა. ეტყობა, არც გახსნილა. შემოსაზღვრულია დიდი გამჭვირვალე ვიტრინით ისე, რომ მიწისქვეშა გადასასვლელში გამვლელს აქვს ვიზუალური კავშირი ხელსაბანთან. ფასი 20 თეთრი.
6. მარჯანიშვილის ქუჩაზე - სარემონტო სამუშაოების გამო არ ფუნქციონირებს ცალსახა პასუხი ვერ მივიღე მომავალში აღდგება თუ არა, მაგრამ დასაფიქრებელია, რომ რეაბილიტირებულ აღმაშენებლის გამზირზედაც ვერ ვიპოვე მსგავსი დანიშნულების ობიექტი.
7. გიორგი ცაბაძის ქუჩაზე - კერძო. სტაციონალური.
8. თამარ მეფის გამზირზე - კერძო. სტაციონალური.
9. ფილარმონიის მიწისქვეშა გადასასვლელში - კერძო. სტაციონალური. აქვს 2 განყოფილება (ქ;კ), სარკე, ხელსაბანი. უშუალო სიახლოვეს იგრძნობა სუნი. სამუშაო საათები 09:00 – 21:00. ფასი 20 თეთრი.

10. მ.ს „ახმეტელის თეატრთან“ - კერძო. სტაციონალური. აქვს 4 განყოფილება (2ქ; 2კ). სარკე, ხელსაბანი, ტუალეტის ქაღალდი (გაცემით. დამატებითის მოთხოვნის შემთხვევაში სარგებლობის ფასი იზრდება). სამუშაო საათები 09:00 – 21:00. ფასი 20 თეთრი.

11. მ.ს „ახმეტელის თეატრთან“ ბაზარში - კერძო. სტაციონალური. აქვს 4 განყოფილება (2ქ; 2კ). სარკე, ხელსაბანი, ტუალეტის ქაღალდი (გაცემით) სამუშაო საათები 08:00 – 21:00. ფასი 20 თეთრი.

12. მ.ს „ახმეტელის თეატრთან“ - კერძო. სტაციონალური. აქვს 2 განყოფილება (ქ;კ), სარკე, ხელსაბანი, მყარი საპონი. სამუშაო საათები 09:00 – 21:00. ფასი 20 თეთრი.

13. ბუკიას ბაღი - კერძო. სტაციონალური. დიდი ხნის პრობლება მარტივად და მომგებიანად გადაიჭრა. კაფეს საპირფარეშოს შესასვლელი აქვს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მხრიდან.
14. კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში - კერძო. სტაციონალური. სამუშაო საათები 08:00 – 21:00.
15. რიყის პარკში - მუნიციპალური. მობილური. აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყოთი, მაგრამ გასაკვირად მოუვლელია, ყარს, მისასვლელი მოუკირწყლავი და ატალახებულია.

16. თბილისის რკინგზის ცენტრალურ სადგურში - მუნიციპალური. ქალაქში ერთადერთი საჯარო ტუალეტი, რომელიც გათვლილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. არის მშრალი, ნათელი, აქვს 8 განყოფილება(4ქ; 4კ) დიდი სარკე, თხევადი საპონი, თბილი წყალი, ტუალეტის ქაღალდი, 24 საათი მუშაობს, მაგრამ ღირს 50 თეთრი, არის ძნელად მისაგნები.

- თბილისის მეტროს ყველა სადგურზე, თუმცა მიუგნებელია. უხერხულია, მაგრამ დამჭირდა მეტროს პერსონალისადმი დახმარებისთვის მიმართვა. მათ კი პერსონალისთვის განკუთვნილ საპირფარეშოში წამიყვანეს (გამონაკლისის სახით). დღეში 10 ადამიანამდე მიმართავს მსგავსი თხოვნით.
- ცალკე გამოვყოფ ეკლესიებთან მდებარე საპირფარეშოებს. მათი მდგომარეობა მერყეობს. ზოგიერთი ფასიანია, ზოგი - უფასო (მეტწილად პერიფერიულ რაიონებში). მათით სარგებლობა შეუძლია ყველას, თუმცა მორალური მოსაზრებების გამო, ადამიანები ამას ერიდებიან.

„საზოგადოებრივი სანიტარიის საკითხი კრიტიკას ვერ უძლებას - ვერც რაოდენობით, ვერც განლაგებით, ვერც სანიტარული აღჭურვილობით, ვერც ჰიგიენის მდგომარეობით. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ ე. შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, უძრავი ქონების დანაშაულებრივმა ტოტალურმა პრივატიზებამ თბილისში თითქმის მოსპო ზოგიერთი ფუნქციური კატეგორიის ობიექტები.“ („ცივილიზებული სამყაროს უკანასკნელი ტაბუ“. ხელნაწერი. ვ. ვარდოსანიძე)

„...შედეგად, ისედაც მცირერიცხოვანი ტუალეტები, რომლებიც, ავად თუ კარგად, ემსახურებოდა ქუჩაში გამვლელ ადამიანებს - თბილისელებსა თუ ტურისტებს - გადაკეთდა სასტუმროდ (მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და მარი ბროსეს ქუჩის გადაკვეთაზე), საუნად (ჭონქაძის ქუჩაზე, ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან), სუვენირების მღაზიად (ოპერის

თეატრთან) და ა.შ.“ („ცივილიზებული სამყაროს უკანასკნელი ტაბუ“. ხელნაწერი. ვ. ვარდოსანიძე)

>გამოკითხვა საჯარო სივრცეში WC-ს საჭიროების გარეშე

სოციალური ქსელის მეშვეობით ჩავატარე გამოკითხვა 17-დან 25 წლამდე ასაკის ადამიანებში „საზოგადოებრივი ტუალეტების ალტერნატივა თბილისში“. შედეგი შემდეგია:

გამოკითხულთა 100%-მა თქვა, რომ სახლში ბრუნდება ან მეგობართან მიდის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ თუ სახლიც და მეგობარიც ძალიან შორს არიან, მაშინ:

1. მაკდონალდსები - 40% (რადგან არ არის აუცილებელი რამე იყიდო)
2. ქუჩა/ბუჩქი/ ხე/სადარბაზო/მიწისქვეშა გადასასვლელი 37% (ძირითადად მამაკაცები)
3. კაფეები - 10% (თუ რაიმეს ყიდვის საშუალება არის)
4. ბენზინ გასამართი სადგურები - 10% (ძირითადად, მამაკაცები)
5. დიდი სუპერმარკეტები - 2%
6. საზოგადოებრივი ტუალეტები - 1%

>გამოსავალი არსებობს!

ინგლისელები ქალაქების პერიფერიულ რაიონებში წააწყდნენ შემდეგ პრობლემას: ტუალეტის აშენება, თუ ხარისხიანი ბიოტუალეტის დადგმა და მოვლა, ზედმეტად ძვირი სიამოვნება იყო, რადგან მომხმარებელთა რაოდენობა 200-საც ვერ აღწევდა. ამიტომ მათ ასეთი ადგილები მიაბარეს ქალაქის დასუფთავების სამსახურს, რომელმაც ნაგვის ურნის უკანა მხარეს მიამაგრეს ბიდე, თავისი სპეციალური ბიოგანყოფილებით. საჭიროების შემთხვევაში მენაგვეები ნაგავთან ერთად გამოყენებულ ბიოსარჩულებსაც ყრიდნენ.

>ქ თუ კ?

საქართველოში საზოგადოებრივ ტუალეტებს ქალები უფრო ხშირად სტუმრობენ, ვიდრე მამაკაცები. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ 2011 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით საქართველოში 2341,9 ქალია და 2127,3 კაცი (2011 წ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

ჰოლანდიაში, ინგლისში და ევრობის სხვა დიდ ქალაქებში, პირიქით. იქ კაცებიც ჭარბობენ.

>მეფინგი და კოგნიტაცია.



განვითარებულ ქვეყნებში მოცემული პრობლემა არამხოლოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი, არამედ შემუშავებულია სისტემა, ტუალეტების ქსელი ქალაქში, გადახდის მოქნილი ფორმა, დატანილია რუქებზე, სანავიგაციო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია იმის დადგენაც კი, რომელი განყოფილებაა თავისუფალი.

საქართველოში ორჰუსის ცენტრის 2010 წლის მონაცემებით (GEO-ქალაქები: ანგარიში თბილისის შესახებ) 2004-2005 წლებში მოსახლეობის რაოდენობა თბილისში 1.8 მილიონს შეადგენდა. 2005 წლიდან კი არათანაბარი ზრდა შეინიშნება. თუ დავეყრდნობით ამ მონაცემებს და გავითვალისწინებთ სანიტარულ ნორმას (1 უნიტაზი ყოველ 500 კაცზე), გამოდის, რომ თბილისში უნდა იყოს 3600 საზოგადოებრივი უნიტაზი(!), ჩვენ კი 90-ჯერ ნაკლები გვაქვს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ელემენტარულ ჰიგიენურ მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

თბილისის „საჭირო ოთახების“ ანალიზის პარალელურად დავუკავშირდი ტუალეტის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც გამომიგზავნა საპირფარეშოების დეფინიცია და მოწყობის ნორმები:

საყოფაცხოვრებო ტუალეტი - სარგებლობს მხოლოდ ერთი ოჯახი. შესაძლოა, მრავალსულიანი, ამიტომ ცნება ემიჯნება „საერთოს“. მდებარეობს ბინაში კარ-მიდამოს უკიდურეს სიახლოვეს.

საერთო სარგებლობის ტუალეტი - სარგებლობს რამდენიმე ოჯახი, ან სამეზობლო. გავრცელებულია კომუნალურ საცხოვრებლებში.

საზოგადოებრივი ტუალეტი - ტუალეტი ყველასთვის. მდებარეობს საჯარო სივრცეში. განსხვავებით საერთო ტუალეტებისგან, მომხმარებლებს არ აქვთ „საკუთრების შეგრძნება“.

რა აუცილებლელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი ტუალეტი?

1. სისუფთავე და სიმშრალე
2. კარგი ვენტილაცია
3. მარტივად გამოსაყენებელი
4. კომფორტულად დაგეგმარებული
5. გათვლილი შეზრუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე

სანკავნძების რაოდენობა

ადგილისა და ობიექტის დასახელება	ტუალეტებით უზრუნველყოფის ნორმატივი	გამოყენების ხანგრძლივობა
მასობრივი ღონისძიებების ჩატარების ადგილი	არანაკლებ ერთისა 500 კაცზე	ღონისძიების ჩატარების პერიოდი
მშენებლობა	არანაკლებ ერთისა ერთ ობიექტზე	მუდმივი
მუდმივი სტაციონალური პარკინგი	არანაკლებ ერთისა ერთ ობიექტზე	მუდმივი
ბენზინ გასამართი სადგური, ავტოსამრეცხაო და ტექმომსახურების ობიექტებზე	არანაკლებ ერთისა ერთ ობიექტზე	მუდმივი
სასაფლაო	არანაკლებ ერთისა 1 კვ. კმ-ზე	მუდმივი
მეტროპოლიტენის სადგური	არანაკლებ ერთისა ერთ გასასვლელზე/შემოსასვლელზე	მუდმივი
საზაფხულო/ღია კაფე	არანაკლებ ერთისა ერთ ობიექტზე	კაფეს ფუნქციონირების პერიოდი
ქალაქის შესასვლელი	არანაკლებ ერთისა	მუდმივი
პარკი და სკვერი, პლიაჟი	არანაკლებ ერთისა 1 კვ. კმ-ზე	მუდმივი
მსხვილი სავაჭრო ობიექტი, ტერმინალი, მუდმივად მოქმედი ბაზრობა	არანაკლებ ერთისა 500 კაცზე	მუდმივი

ერთ სანკვანძზე კაბინათა რაოდენობა მოკლევადიანი ღონისძიებისთვის

ადამიანების რაოდენობა	ღონისძიების ხანგრძლივობა			
	1-2 სთ	3-5 სთ	5-12 სთ	12სთ-ზე მეტი
100-300	1-2	2	3	3-4
300-500	2	3	3-4	4-7
500-700	3	4-5	5-6	7-9
700-100	5	6-7	7-8	9-13
1000-1500	7	8-9	9-10	13-20
1500-2000	10	11-12	13-18	20-27

1. ერთ მუდმივ სანკვანძზე კაბინათა რაოდენობა

ობიექტის დასახელება	კაბინების რაოდენობა	შენიშვნა
სავაჭრო ზონა	1/ყოველ 20 მომუშავეზე	+ მყიდველთათვის, თუ სავაჭრო ფართობი აღემატება 500 კვ.მ-ს
მშენებლობა	1/ყოველ 20 მუშაზე	კვირაში 40 სამუშაო საათის შემთხვევაში
ბაზრობა	1/ყოველ 20 მომუშავეზე	+ მყიდველთათვის, სავაჭრო ფართობის ყოველ 500 კვ.მ-ზე
ავტოფარეხი	1	ყოველ 100 ავტომობილზე
საზაფხულო/ღია კაფე	1/20 ადგილძე	+ერთი კაბინა პერსონალისთვის

>ტუალეტის საერთაშორისო ორგანიზაცია და თბილისური „?“

2001 წლის 19 ნოემბერს სინგაპურში ჩატარდა ტუალეტის საერთაშორისო ორგანიზაციის (*World Toilet Organization (WTO))* პირველი სამიტი სადაც დაისაზა შემდეგი მიზნები:

1. საერთაშორისო ორგანოს შექმნა სანიტარიული საკუთხების წინა პლანზე წამოსაწევად.
2. მომხმარებლის სტიმულირება, მოსახერხებელი და სასიამოვნო ტუალეტებით დაინტერესების გამოსახატად.

3. რესურსების აკუმულირება და კვლევების ჩატარება, მომხმარებელთა კულტურის, ესთეტიკის და ფუნქციონალური დიზაინის განვითარება საერთო ჯანმრთელი გარემოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად.
4. ახალი სტანდარტების შემუშავების და ახალი ინიციატივების მხარდაჭერა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში.
5. ტუალეტების ამხანაგობათა და ასოციაციათა შექმნა და მხარდაჭერა.
6. მომხმარებელთა ინფორმირება მსოფლიოს მასშტაბით. ლიტერატურის გამოცემა, პუბლიცისტიკა.

საინტერესოა თბილისის პოლიტიკა.

თბილისის მერიას 2012 წლის 19 მარტს მივმართე კითხვებით: აქვს თუ არა ჩვენს ქალაქს კონტაქტი ტუალეტის საერთაშორისო ორგანიზაციასთან? თუ ხორციელდება საზოგადოებრივი სანიტარიის მონიტორინგი, ვინ ახორციელებს მას? რამდენი საზოგადოებრივი ტუალეტია თბილისში(მუნიციოალური; კერძო)?

პასუხის მოლოდინში მივუბრუნდი მსოფლიოს გამოცდილებას.

>„ურინარტი“

პარიზი. 1950-იანი წლები

ევროპაში „სანიტარული რევოლუცია“ დაიწყო 1842 წელს გამოქვეყნებული ადვოკატ ედვინ ჩადვიქის კვლევის ანგარიშით დიდი ბრიტანეთის მუშა მოსახლეობის სანიტარიული მდგომარეობის შესახებ.

1887 კი წლიდან ტუალეტი ხელოვანთათვის ინსპირაციის ადგილი ხდება.

შადრევანი. მარსელ დიუშანი 1887 წ.

თანამედროვე არტისტები გამოეხმაურნენ მადრიდის მოსახლეობის ჩივილს, შეისწავლეს „ტუალეტების ალტერნატივა“ და შექმნეს ინსტალაციები

ურინა. მადრიდი. 2011 წ.



უცნობი არტისტი.

თბილისში თანამედროვე ხელოვნების ცენტრის მიერ თბილისის მიწისქვეშა სივრცეებში დაგეგმილ 10 ღონისძიებიდან ერთ-ერთზე ყურადღება ტუალეტის თემას დაეთმობა. დაველოდოთ ქართველების შემოქმედებით რესპერაციას.